სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხოგამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპეკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363.



!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)

სასჯერნო ბაღი

# არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—23) ქ. ჩხარტიშვილი

---

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

# თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი

წერილი პირველი

**მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ**-ისა

ფასი **20** კაპ.

ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%.

(15—15)

---




ღვინის სარდაფი

# „იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

# იყალთო

ბოთლი **20** კაპ. ვიდრე **1** მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**

Князя Г. и Л. Макаевыхъ

подъ фирмой

# „ИКАЛТО"

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліани, № 15. (75—8)

---

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.


# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან), 27 ივლისი.

**ვაშინგტონი.** მაისი დეპეშით აუწყებს ოლჯერს პონსიდან, რომ პარასკევს გვაიამომ, მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, იარაღი დაჰყარაო.

**მადრიდი.** დედოფალს მოლაპარაკება ჰქონდა სილველასთან და მარშალ კამპოსთან და მოელაპარაკება აგრეთვე რომერო-რობლედოს. საგასტამ გაათავა მოლაპარაკება კანალეხასთან და გენერალ კალეხასთან. კარლისტი ბარიო არ ინახულა საგასტამ.

**მადრიდი.** ისპანიამ მიიღო შეერთებულ შტატების-მიერ წარდგენილი პირობები. ისპანიის პასუხს მიიღებენ თეთრ სახლში, სამშაბათს. თუ შეერთებული შტატები დათანხმდნენ ისპანიის პასუხზე, ომი დაუყონებლივ შესწყდება.

# ახალი ამბავი

*** ქუთაისის ახალი გუბერნატორი, გენერალ-მაიორი თ. ქ. გერშელმანი 45 წლის კაცია. განათლება მიღებული აქვს პაჟთა კორპუსში და შემდეგ საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიაში, სადაც მან კურსი დაამთავრა პირველ ხარისხით. სამსახური დაიწყო გვარდიაში, შემდეგ მსახურებდა საგანგებო მინდობილებათათვის ჯარის მე-14 კორპუსის შტაბში, იყო გვარდიის ჯარის უფროსი ადიუტანტის თანაშემწედ, მსახურებდა უმთავრეს შტაბში საგენერალო შტაბის შტატით დაწესებულ შტაბ-აფიცერთა რიცხვში და 1881 წ. ორენბურგის ყაზახთა საიუნკერო სასწავლებლის უფროსად. ამ თანამდებობაში მან დაჰყო 1885 წლის დამლევამდე. ამ წლის 5 დეკემბრიდან 1891 წლის 8 ივლისამდე იყო ტვერის კავალერიის საიუნკერო სასწავლებლის უფროსად, შემდეგ განაგებდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ვლადიმირის მერვე დრაგუნის პოლკს. 1893 წლის 5 მაისიდან იყო ყუბანის ყაზახთა ჯარის შტაბის უფროსად, და, ბოლოს, უმაღლესი ბრძანებისამებრ, 1898 წ. 19 ივლის გენერალ-მაიორი გერშელმანი დანიშნულ იქმნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად.

*** აკაკის „კრებული". გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ აკაკის „კრებულის" მეთერთმეტე №-რი შემდეგი შინაარსით: I „პოეტის პროგრამა", II „შენიშვნები", III „ახალი გმირი", IV „ჩემს მეგობრებს", V „საგულისხმო". განყოფილება II. VI „თამარ-ცბიერი". განყოფილება III. VII „მტრედებს რათა აქვთ წითელი ფეხები?" ჩაწერილი ალექსანდრე დავითის ძე მაჩაბლისაგან. VIII „სესიკი ყაულაშვილი—მისივე, IX „არაკი"—მისივე. ზემოდ ჩაწერილ ნაწარმოებიდან პიესა, „ახალი გმირი" ერთხელ წარმოდგენილიც იყო სცენაზე, ხოლო „თამარ-ცბიერი" როგორც მოგეხსენებათ, ცალკე წიგნადაც არის გამოცემული.

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული წიგნი „ხლხური ანდაზები და გამოცანები“, შეკრებილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძისაგან. ზემოხსენებული ანდაზები აკაკის კრებულში იბეჭდებოდა. წიგნი 66 გვერდია და ღირს სამი შაური.

*** სასწავლებლის გადაკეთება. როგორც ისმის მომავალ სამოსწავლო წლიდან, ტფილისის ნიკოლოზის საქალაქო ორ კლასიანი სასწავლებელი გადაკეთებულ იქნება სამ-კლასიანად.

*** 27 მკათათვეს, ს. საგურამოში მცხოვრებელმა გლეხმა, გაბრო ხუსურაულმა, ჩამოიტანა ურმით ნახშირი გასაყიდათ და ურემი დააყენა მამა დავითის მეიდანზედ. საიდღანაც გამოტყვრა პოლიციელი № 43 და დაუწყო ცემა ამ გლეხს —ურმიდგან ნახშირის ტომრებზე დალაგებული ფოთლები რად ჩამოგიცვივდაო. გლეხს თავ ზარი დაეცა და სისხლმა დენა' დაუწყო ცხვირიდან. ეს პირველი შემთხვევა არ არის პოლიციელთა თავგასულობისა და კარგს იზამდენ მათი უფროსები, რომ ცოტაოდენი სუსხი მისცენ მათ და ალაგმონ მათი თევგასულობა.—თუ ქუჩების სისუფთავეს უგდებენ ყურს, მგონი ერთი-ორი ფოთლის გადმოვარდნა არაფერს იზამდა იმ ბინძურობასთან, რაიც მთაწმინდის არემარეში გახლავთ.

*** ცვლილება კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოებათა წესდებაში, როგორც ისმის, განზრახვა აქვთ შესცვალონ ზოგიერთი პარაგრაფები.

*** ქალაქის განათება. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს მოაწყოს ქალაქის განათება ქალაქისავე ხარჯით 5—6 აგვისტოდან.

*** სამოსწავლო გადასახადის მომატება. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო, მომავალ სამოსწავლო 1898–99 წლიდან ზუგდიდის ქალაქის სასწავლებელში მომატებულ იქმნეს სამოსწავლო გადასახადი 18 მანეთამდე წლიურად, (ნაცვლად 16 მანეთისა).

*** ფოსტის მარკების გაყიდვა, რომელიც დღემდე საფოსტო დაწესებულებებში სწარმოებდა, 1899 წლიდან ნება დართულ იქმნება ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც კი ღერბის მარკები იყიდება.

*** ქვაფენილი პუშკინის ბაღის გარშემო. ტფილისის პოლიცმეისტერმა 26 ივლისს შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე, გააკეთებინეთ ტფილისის ქალაქის გამგეობას, საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა ძალით, ქვაფენილი პუშკინის ბაღის გარშემო.

*** ახველდიანის საქმე. ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორმა წარუდგინა საკასაციო პროტესტი სასამართლოს პალატის განაჩენზე, რომლითაც გამართლებულ იქმნა ქუთაისის ქალაქის პოლიციის განყოფილების ზედამხედველი ახველდიანი, რომელსაც ბრალდებოდა ცრუ ჩვენების მიცემა ჯოხაძის საქმის თაობაზე.

*** რკინის გზაზე მოსამსახურე პირთა შემოწმება. იმ მოსამსახურე პირთა შესამოწმებლად, რომელნიც დაუთხოვნიათ სამსახურიდან ავადმყოფობისა ან დაშავების გამო, და აგრეთვე რომელნიც შუამდგომლობენ სამკურნალოდ შემწეობის შესახებ, გზათა სამინისტრომ წინადადება მისცა რკინის გზებს, დაარსეთ თვითეული სახაზინო რკინის გზის სამმართველოსთან და გზაზე ცალკე კომისია განყოფილების ან საავადმყოფოს,—2 ექიმისაგან, უფროსი ექიმის თავმჯდომარეობით, და აგრეთვე იმ სამსახურის წარმომადგენელისაგან, რომელსაც ეკუთვნის შესამოწმებელი პირიო.

*** ზემო ქართლი. საყურადღებო ჩხუბი ჩვენებური ჩარჩებისა. მთელს ზემო ქართლში ყველასათვის ცნობილნი გაიძვერა პალტოიან-ცილინდრიანი ჩარჩები, კოჭლი სტეპკუა და ფეხ-მართალი პოლოსა, რომლებიც ერთმანერთის დიდი მეგობრები იყვნენ, წაიკიდნენ ნაარმ შეძენილ ფულზე და დაიწყეს სასამართლოში საჩივარი. კოჭლმა სტეპკუამ გაიმარჯვა და სასამართლოდამ გამოიტანა „აღსრულებითი ფურცელი“, რომლითაც პოლოსას 700 მან. უნდა გადახდეს. ჩქარა სტეპკუამ ბოქაულიც მოჰგვარა პოლოსას და აუწერა ქონება, რაც აუვიდოდა ვალში. რასაკვირველია, ცილინდრიანმა პოლოსამ იუკადრისა და არად ეჭაშნიკა თავის კარზე ბოქაულის მისვლა ქონების ასაწერათ, მას მხოლოდ სასიამოვნოდ რჩება, როცა თითონ უწერს სხვას. პოლოსა დაემუქრა სტეპკუას და ლანძღვა გინებაც დაუწყო, ამ ლანძღვა-გინებაში მათ წამოსძახეს ერთმანერთს თავ-თავიანთი ნამოქმედარი და გამოააშკარავეს თავიანთი ცოდვები. მაგალითად კოჭლმა სტეპკუამ წასძახა: შენ ხომ სულ გლეხების განაგლეჯით გაქვს ქონი მოცხებული და ახლა მეც შენ გაგლეტავ. გაჭირვებულს გლეხს ხელ წერილით ერთს ათად ახდევინებ და ახლა ნახე, როგორ თაგვივით აგაწრუწუნოო?!! და სხ.

ჩარჩმა პოლოსამ უპასუხა: შე დაფეხვილო! შე დამტვრეულო, მე გაგწრთვენი, ჩემ ხელში გამოიცადე და ახლა მაგეებს მეუბნები? არ გახსოვს ყალბათ შედგენილი პირობები რომ გადმოგეცი ზედაუბნელი გლეხისა, მე წინ გიძღოდი, რომ გამოიცადოს მეთქი, საქმე გაწარმოებინე, იმოდენი ფული მოგაგებინე? ის გლეხი დღესაც გალატაკებული დადის და ცოლშვილს მიწყევლის, ფულები კი შენ ჩაჯიბე და ახლა კიდევ ფულს მახდევინებ, არა გრცხვენია შე ფეხუცაო?!! და სხვ.

ის არა ვარ—

*** ზუგდიდი. განმარტება. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ № 577,—სხვათა შორის, არის დაბეჭდილი ამბავი გურულ-მეგრელისა ზუგდიდის სამკითხველოზე, რომელშიაც მოამბე მოგვითხრობს, რომ ვითომც და მე არ გადამეცეს ზუგდიდის სამკითხველოსთვის ჩემგანვე მოგროვილი წიგნები მის სასარგებლოდ, და მასთან მთხოვს მე მოამბე, რომ გადავსცე ხსენებული წიგნები და მით ხელი მოუმართო ახლად დაარსებულ სამკითხველოს. სწორედ სასაცილოა, სასაცილო! —ზუგდიდის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ მე შევაგროვე 50-მდე წიგნები ქუთაისის სემინარიის მოწაფეთა შორის და კიდეც გადავეცი სამკითხველოს გამგეს ბ-ნ კაკაბაძეს 1897 წელს ოქტომბერში. აგერ მერვე თვე გავიდა მას აქეთ რაც მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და ეხლა-ღა გამოჰღვიძებია ჩვენს მოამბეს. შეიძლება მოამბე შესცდეს, მაგრამ ასეთი აშკარა სიცრუვე სწორედ არ საპატივებელია. განა მოამბემ ყოველისფერი გაზეთში უნდა ატკუცოს, რასაც ჭორად ყურს მოჰკრავს? მახლას!

ვ. ალშიბაია

*** ს. ბახვი (გურია). სკოლის 25 წლის თავის გამო. აგერ ოცდა ხუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ს. ბახვს ყოვლად უსამღვდელოესი აწ განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ღვაწლშრომა მეცადინეობით დაარსდა სკოლა. ოცდა-ხუთი წელიწადია მის შემდეგ, რაც ამ სკოლაში მოღვაწეობენ მასწავლებლის ასპარეზზე ორი პატიოსანი მუშაკი გ. და ნ. შარაშიძეები. ოცდა-ხუთი წელიწადია, რაც ამა გარემოებათა შემწეობით ბახვის მკვიდრთა პაწაწა შვილებმა წერა-კითხვის მეოხებით სცნეს სინათლე ღვთაებრივი და მისი სარგებლობა. ბევრგვარად იცვალა ამ ოცდა-ხუთს წელიწადს ცხოვრება, გახშირდა სკოლები, სწავლა მოეფინა თითქმის მთელ გურიას და ხალხსაც ძვალს-რბილში გაუჯდა სწავლის წყურვილი და მისი ცხოვრებაში აუცილებლობა. დღეს ყველა მშობელი ცდილობს, შვილი სკოლაში გამოზარდოს, რამე ასწავლოს და ცხოვრების უღელში ისე შეუბას. ეს ხალხის მისწრაფება და ლტოლვილება დღეს გურიაში უსაზღვროა, დაუშრეტელი, დაუკმაყოფილებელი, მაგრამ სულ სხვა იყო ამ ოცდახუთი წლის წინათ. მაშინ სახვეწარნი, ეხლა თვით მახვეწარნი შეიქნენ და სკოლის სკამს არც კი აცილებინებენ თავიანთ შვილებს. ბახვის საზოგადოების ამ ოცდახუთი წლის წინსვლის ისტორია მჭიდროდ შეკავშირებულია ბახვის სკოლის ისტორიასთან; პირველის ისტორია, ეს მეორის ისტორიაა, და ეს უკანასკნელი კი აქაურ ორ დასახელებულ მასწავლებელთა მოღვაწეობის ისტორიაც იქნება, რადგან ბახვის სკოლა და ეს მისი ორი მასწავლებელი, და ბახვის სკოლა, ამ ოცდახუთ წელს ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ერთად მიილტვიან ეკლიან ცხოვრების გზაზე. აი დაგვიდგა კიდეც დრო, გამოირკვა ეს მოღვაწეობა, გამოირკვა სკოლის ოცდახუთი წლის მოქმედება, უკეთეს დროს, ჩვენის აზრით, ვერც კი ვიპოვით, რადგან ამ ოცდახუთის წლის წინად აღმართული ტაძარი განათლებისა ეხლა განახლებული, ახალი შინაარსით დროს შესაფერ მოწყობილებით მზად არის, რომლის კურთხევის დღეს დიდის მზადებით ეგებებიან.

ი—ლი

*** ს. ჭობისხევი. მკვლელობა. 25 ამ მკათათვეს ს. ჭობისხევში (ბორჯომის საბოქაულოა) იქაური მცხოვრები გლეხი ლექსო ლომსაძე მოკლეს ჩხუბში. დაწვრილებით მერე იქნება მოხსენებული.

ზეუბნელი

*** თიანეთი. მცირე შენიშვნა. ბ-ნო რედაქტორო! სიმართლის აღსადგენად გთხოვთ ამ შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში. „ცნობის ფურცლის“ 581 №-ში სოფ. თიანეთიდგან ვიღაც „ალექ. ნაესაკოველი“ მოგვითხრობს ერთს უცნაურს და დაუჯერებელს ამბავს, რომლის შინაარსმაც გააკვირვა და გააოცა თიანეთში მკითხველი საზოგადოება. ნუ თუ, მართლა, ისეთი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი ცოცხალი სიცრუვის თქმა იკადროს და მით ჩირქი მოსცხოს სრულებით უდანაშაულო პირს?

ბ. ალექ. ნაესაკოველი, სხვათა შორის, მოგვითხრობს, რომ მითომ და ჩვენი მაზრის ექიმი დიოგენის ფარნით უნდა ეძებონ და თუ რო-

გორმე იპოვნეს, მაშინაც დაუწერს რეცეპტს, თითონ (ექიმი) ჯიბეს ფულით გაიმსებს და შემდეგ არხეინად გაივლ-გამოივლის (!) აი ამ სიტყვებმა ზიზღით აამსო საქმისა და ექიმის მცოდნენი და მხოლოდ ეხლა დარწმენდნენ, რომ მართლა ბევრჯელ ზოგიერთა ცრუ-პენტელებს შეუყვანიათ შეცდომაში, როგორც მკითხველი საზოგადოება, ისე გაზეთებიც ჩვენი მაზრის ექიმი თითქოს სამადლოთ იყოს გამოგზავნილიო, ისე იქცევა: ადგილობრივ, შიგ თიანეთში მცხოვრებლებისაგან არავითარ „ვიზიტის“ ფულს არ იღებს, თუმცა კი სრული ნება აქვს ყოველს შემთხვევაში აიღოს და ამაზედ არავის არაეთქმის-რა. თუ აიღებს ისიც მაშინ, თუ ვინიცობაა გარეშე სოფელში მიიწვიეს და შეატყო რომ ავადმყოფის პატრონს გარემოება ნებას აძლევს გასამრჯელოს გაღებაზედ მაშინაც ბევრი თხოვნით და ვედრებით უნდა დაითანხმონ ხოლმე, თორემ ჩვენს ექიმს ის შნო არ აქვს, რომ ვისმეს გასამრჯელო სთხოვოს.

ვინც კი თიანეთში გაუმწესებიათ რაიმე სამსახურში, უსათუოთ ვალებით ამსილა და ისე წასულა აქედგან. ამით თიანეთი ცნობილია; და არ ვიცით რაღა ეხლანდელმა ექიმმა გაიმსო ჯიბეები; ჯერ აქაურები უნდა იყვნენ ჯიბეებ გამსილნი. დღე-დღეულათ ძლივს გამოდიან, ავადმყოფობის დროს წამლის ფული არავისა აქვს და საკვირველია ექიმს ჯიბეებს ვინღა უტენავს? თითონ ექიმიც ოციდან ოცამდე ძლივს გამოდის, ბევრჯელ ვალებიც აულია და თუ ჯიბეებს იტენავს ეს ვალები რაღა ჯანდაბაა?

რომ ადგილობრივი ინტელიგენცია და სკოლის მასწავლებლები მათი შეგირდების ავადმყოფობის დროს დავალებულები არიან ექიმის მრავალჯერ საექიმო მოთხოვნილებით, ამაზედ ლაპარაკი მეტი იქნება, მხოლოდ რაც შეეხება იმას, რომ მითომ ექიმი სამი დღე უნდა ეძებონ ხოლმე და ისიც დიოგენის ფარნით (!) ესეც მტკნარი სიცრუვეა, რადგანაც ამ ერთ მუჭა ხალხში ექიმის ძებნა საჭირო არ არის; ისეთს თვალსაჩინო ალაგასა სცხოვრობს, რომ გამვლელ-გამომვლელი უეჭველად იმის კარებს უნდა მიადგეს და საჭიროა მხოლოდ იკითხოს, რომ ექიმი ნახოს, რომელიც შეტყობისათანავე მაშინათვე დაუზარებლივ გაჰყვება ხოლმე, თუ, რა საკვირველია სხვა რაიმე საჭირო საქმე არ აბრკოლებს.

სწორედ ალექ. ნაესაკოვლის შენიშვნაზედ არის ნათქვამი რომ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“.

ანაშვილი.

*** **ს. შხეფი** (სამეგრელო). **ჩვენებური უპატრონობა.** ყველა დაბა-სოფლებს ყავს თითოოროლა გულშემატკივარი, რომელიც შეძლებისა და გვარად ცდილობს სოფლის ხალხის წარმატებას ნივთიერად და ზნეობრავად და საზოგადო ქირ-ვარამის გაადვილებას, მაგრამ ამ ჩვენს დალოცვილს შხეფისათვის თავს არავინ არ იწუხებს. ან კი ვინ უნდა შეიწუხოს თავი თუ არ მღდელმა და მასწავლებელმა?

ი.—ს.

# სასამართლოს მატიანე

**გამარცვა, დაჭრა და მკვლელობა.** 25 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების გიორგი ფხაკაძის (26 წლ.) და გორის მაზრის სოფ. მეტეხის მცხოვრების სამსონ მალალაშვილის (27 წლ.) საქმე, რომელთაც ბრალდებათ შემდეგი: 1898 წ., 10 იანვარს ისინი თავს დაესხნენ იარაღით ხელში სულხანოვის დუქანს ავჭალის ქუჩაზე, იხმარეს ძალ დატანება მედუქნეზე, რომელსაც მოკვლას დაემუქრნენ, და მოიტაცეს დუქნიდან ფულებიანი დახლი. მედუქნეს მისაშველებლად მოვარდა სახლის პატრონის შვილი ივან პირან-ონანოვი, რომელსაც ფხაკაძემ ესროლა მალალაშვილის მიერ გადაცემული თოფი და მსუბუქად დასჭრა. მეორე გასროლით შემთხვევით მოკლულ იქმნა რკინის გზის ვახმისტრის ცოლი ფედოსია ოზეროვისა, რომელიც ფურნეში მიდიოდა თავის მცირე წლოვან (13 წლის) ქალთან ერთად. იმავე მალალაშვილს ბრალდება კიდევ შემდეგი: 1897 წ., ივნისში კუკიის სასაფლაოს ჭისკართან ეტლით მოვიდა სამსონ მალალაშვილი და მოსთხოვა მეეტლეს კიდევ იარეო. მეეტლე არ სთანხმდებოდა უგზოობის გამო. მათ შორის მოხდა ჩხუბი. მათ გასაშველებლად გამოვიდა ეკკლესიის დარაჯი პონომარევი, რომელმაც სთხოვა მათ, ეკკლესიასთან წესიერებას ნუ არღვევთ და წადით აქედანაო. მალალაშვილმა პონომარევის ასეთი მოქცევა შეურაცხყოფად მიიღო და დასჭრა იგი მსუბუქად თორმეტგან ტანზე.

ოლქის სასამართლომ ორივე ბრალდებული ერთგვარ დამნაშავებად სცნო და მიუსაჯა მათ კატორგა რვა-რვა წლის ვადით. ვახმისტრის ოზეროვის სასარგებლოდ სასამართლომ გადასწყვიტა 150 მ. გადახდა.

# თეატრის მატიანე

**ღ. ჩოხატაური** (გურია) სამქველ-მოქმედო წარმოდგენა. 20 ივლისს აქ საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენილ იქმნა „ადამ და ევა“ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“. წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილი კარგად ასრულებდა თავიანთ როლს. საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი და ყველა აღტაცებაში მოიყვანა ქ. ლოლა ლომაძისამ; მშვენიერად შეასრულა კიდევ-ბ. აპოლონ წულაძემ; სამაგალითო იყო მისი სცენებიც. მოხუცი ამირზაურის როლის მოთამაშე სუსტობდა. წარმოდგენამ, საზოგადოთ, მშვენიერად ჩაიარა და ხალხი დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

გრ.—მოლი

**ს. წევა.** (იმერეთი.) ქართული წარმოდგენა 20 ივლისი წრევანდელს ჩვენს იარმუკობას არა დაკლებია-რა არც თბილისის ქართული თეატრის სცენარიუსი ალ. თამაზიშვილი. ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინეს „ადამ და ევა“ ხუმრობ. 2 მოქ. და „დათვი“ ვოდ. 1 მოქ. ვოლსკისა. ხალხი მეტად მცირე დაესწრო. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. შემოსავალი უფრო მეტი იქნებოდა, რომ ყველა ინტელიგენტებს ამ საქმისთვის თანაგრძნობა გაეწია, ორმა და სამმა ინტელიგენტმა რა ქნას?.. ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ბ. თამაზიშვილს, უდროვოთ გამართა წარმოდგენა. ეს იმ დროს იყო სწორეთ, როდესაც ხალხი ბაზრობიდგან წასულიყვნენ და ამ მიზეზითაც ხალხი მეტი ვერ დაესწრო. რომ წარმოდგენამ დღით კვირიკობის საღამოს ყოფილიყო, უფრო ბევრად მეტი ხალხი დაესწრებოდა. მადლობის ღირსნი არიან ადგილობრივი მოვაჭრები ვანაიდგან უფასოდ ათხოვეს ხალიჩები და ფარდაგები წარმოდგენის გამმართველს და მასთანავე სევასტი გაჩეჩილაძეც, რომელიც უვიც ხალხს უხსნიდა აზრს და მნიშვნელობას თეატრისას?..

თ. გაჩეჩილაძე

# სამეურნეო ცნობა

**საზოგადო ბაღოსნობის თეორია (სწავლა) და მასი საგანი.**

(უძღვნი კურსისტებს—მასწავლებლებს)

**სანესტის მოქმედება.** უწყლოდ სიცოცხლის პროცესსი (მიმდინარეობა) მოუხერხებელია. ამ პროცესსის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ზოგიერთი მაგარი ნაწილების ქიმიურ ცვლილებას; ეს ნაწილები მაგრად და უსარგებლოდ რჩება იმდენ ხანს, ვიდრე წყალში არ გაიშლება. მცენარის ამოსვლა იწყება, როგორც ვიცით, ნაყრის გაზრდით. გაზრდა მაშინ შეიძლება, როცა ნაყრში ორგანიული ან უორგანო მასალა გროვდება.

შენიშვნა: რა არის ორგანიული და უორგანო, ან მინერალური ნაწილი მცენარისა? აიღეთ ძალიან გამხმარი ნაფოტი, ასწონეთ, ვსთქვათ შეიქნა სამი გირვანქა. მერმე დაწვით. რა დარჩება? დარჩება ნაცარი. ასწონეთ ნაცარი. ვთქვათ შეიქნა ერთი მეათედი გირვანქისა, ან ცოტა მეტი. მაშ დაწვის დროს რაღაც გაპარულა. აი ის, რაც დაიწვა და გაიპარა იმას ჰქვიან ორგანიული ნაწილი, და რაც დარჩა (ნაცარი) ის არის უორგანო, ან მინერალური ნაწილი.

მაშასადამე ეს მასალა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე უნდა იქმნეს გადატანილი. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ წყლის მოქმედებით. წყალი ამ შემთხვევაში მასალის მატარებელია, მოძრაობაში მომყვანი და პირველ ხანში მაგარი ნაწილის დამშლელი. ვნახოთ ეხლა, რა ნაირად ჩადის წყალი თესლებში! ავიღოთ რამოდენიმე ლობიოს მარცვალი და ჩავყაროთ წყლიან ჭურჭელში. რამდენიმე საათის შემდეგ ვნახავთ, რომ თესლი გასივდა, ე. ი. ტანი მოემატა. ამის მიზეზი ის არის, რომ წყალი ჩავიდა თესლში. გამოკვლევამ აჩვენა მეცნიერებას, რომ თესლის კანში არის ერთი ხვრელი, რომელსაც მეცნიერები უწოდებენ „მიკროფილე“-ს. მაშ შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ეს წყალი მიკროფილედგან ჩადის. ეხლა განვიხილოთ მეორე გამოცდა. ავიღოთ ორი თესლი, ერთს უნახეთ ერთ ნაირი ესაშუალებით მიკროფილე და ის ლაქით დაუხუროთ, რომ წყალი არ ჩავიდეს. მეორე მარცვალი ისე ჩაავდეთ პირველთან წყალში. რამოდენიმე ხნის შემდეგ შევატყობთ, რომ ორივე მარცვლის სიდიდემ იმატა, მხოლოდ იმ მარცვალმა, რომელსაც მიკროფილე დახურული ჰქონდა - სულ ცოტათი იმატა, ხოლო მეორემ კი ბევრი. აქედან სჩანს, რომ თესლს მიკროფილეს გარდა კიდევ აქვს გასავალი ადგილი, მაგრამ ეს ისე პატარაა, რომ შეუიარაღებელი თვალით ვერ შევამჩნევთ: ამისთანა გასავალი ერთობ ბევრია და დიდი მსგავსება აქვს საწოვრებთან. ამას გარდა თესლზედ ერთი ადგილი კიდევ არის, სადაც მიკრული აქვს თესლის ფეხი; ეს ადგილიც უადვილებს წყალს თესლში შესვლას. ამ შემთხვევაშიაც ლაქით რომ დავხუ-

როთ ეს ადგილიცა და მიკროფილეც და წყალში ჩავაგდოთ, თესლი მაინც ცოტად იმატებს. ამ შემთხვევაში წყალი ჩადის თესლში ენდოსმოსის ძალით (ენდოსმოსი — შესუნთქვა, შეწოვაა ნაკლებად მკვრივი სითხისა, მომეტებულად მკვრივი სითხისაგან გარეგანი კანის საშუალებით). წყალი წვლილის (გაზის) სახედ არის ჰაერში.. შეიძლება თუ არა თესლმა ისარგებლოს იმით, როგორც ჩვეულებრივი წყლით და საკმარისი არის თუ არა? გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჰაერის წყალს მცენარე და თესლი მუდამ ვერ სჯერდება და საკმარისიც არ არის, თუ ტემპერატურა არ იცვალა: თუ ნაკლები სითბოა — გაზი წყალი იკუმშება, ჩვეულებრივ წყლად იქცევა, თესლს ეკარება და შიგ ჩადის, და თუ მეტი სითბო არის, მაშინ ჰაერის წყალი უფრო თხელდება, ჩვეულებრივ წყლად ვერა ხდება და არც საკმარისია თესლისა და მცენარისათვის.

ნ. კურნალი

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბავი

—

ხორცეული საზრდოს გავლენა ადამიანის აგებულებაზე. ორი ვენეციელი მეცნიერი (ფიზიოლოგი); ლიხტენფალსი და ფრელიხი ხორცეულ საზრდოს გავლენას ადამიანის აგებულებაზე, ადარებენ მაგარი სასმელების გავლენას. ხანგრძლივმა დაკვირვებამ ისინი იმ დასკვნაზე მიიყვანა. რომ მხოლოდ ხორცით საზრდოობა ადამიანს გულის ძგერას უხშირებს. ხორცი განსაკუთრებით კი ხარისა, მაგარ სასმელივით იწვევს ადამიანის აგებულების ხელოვნურად აღძვრას, უმეტეს ნაწილად არა ხანგრძლივს, რომელსაც მოჰყვება აგებულების მოდუნება ისინი, რომლებიც უმეტესად ხორცეულ საზრდოს ხმარობენ, ჩვეულებრივ გრძნობენ ძალ-ღონის ნაკლებობას იმ დღეებში როცა რაიმე შემთხვევის გამო ხორცი არ უჭამიათ. ლიხტენფალსისა და ფრელიხის აზრით, ეს თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. ეს მეცნიერები არ არიან ხორცის წინააღმდეგნი და მისი ზომიერად ხმარება სასარგებლოდ მიაჩნიათ, მაგრამ გადაჭრით წინააღმდეგნი არიან ხორცეულ საზრდოს ზედ-მეტი ხმარებისა, რომელიც, მათი სიტყვით, იწვევს ძალ-ღონის ხელოვნურად აღძვრას და შემდეგ კი ერთბაშად მოდუნებას.


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ლეფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—37)

---

# ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.

Михайловская, противъ кирки.

(100—34)

---

ქ. ქუთაისი

ამ წლის ენკენისთვეში

**უფასო სამკითხველოს**

ფონდისთვის

გამართული იქნება

**ვაჭრობა-ბაზრობა**

დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.

(12—5) ელენე ჯინოშვილისა

---

საზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

ღებულობს

**დაზღვევას ცეხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა** და **თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—33)

---

მიიღება ხელის-მოწერა

## რუსულ-ქართულ

# ენციკლოპედიურ ლექსიკონ-ზე

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო ანზე, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლიბიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის-მოწერით მარტო 12 მანეთი, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ. ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო ბანზე უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (5—4)

---

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

# სადღეგრძელოები

ამხანაგობის „გლეხის“ გამოცემა

ფასი **5** კაპ.

მსურველნი მიჰმართავენ ზესტაფონში მ. გაჩეჩილაძეს. (10—10)